საქართველო

35428-01-2-201408151528

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/35428
15/08/2014

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის
სამინისტროს აპარატის უფროსს
ქალბატონ **ნანა ქავთარაძეს**

ქალბატონო ნანა,

ინფორმაციისთვის გიგზავნით კატასტროფათა რისკის შემცირების 2015 წლის შემდგომი ჩარჩოს პირველადი პროექტის წინასწარ მონახაზს (pre-zero draft).

წინამდებარე დოკუმენტის ირგვლივ მსჯელობა გაიმართება იმ არაფორმალური საკონსულტაციო შეხვედრების ფარგლებში, რომელთაც კატასტროფათა რისკის შემცირების შესახებ გაეროს მესამე მსოფლიო კონფერენციის (Third United Nations Conference on Disaster Risk Reduction) მოსამზადებელი კომიტეტის ბიუროს თანათავმჯდომარეები 2014 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გამართავენ. კონფერენცია დაგეგმილია 2015 წლის მარტში, იაპონიაშია.

აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე, თანათავმჯდომარეები ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის მოამზადებენ პირველად პროექტს მოსამზადებელი კომიტეტის მეორე შეხვედრისათვის, რომელიც გაიმართება მ.წ. 17-18 ნოემბერს, ჟენევაში.

დანართი: 20 გვერდი

პატივისცემით,
ელენე აგლაძე

დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი